ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 13

ქ. ჭიათურა 27 სექტემბერი, 2019 წელი

ერთი მხრივ, შპს ,,კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი", წარმოდგენილი მისი წარმომადგენლის სულხან მელაძის (პ/ნ 01008005327) სახით (რწმუნებულება N1849; 10.04.2019) (შემდგომში „მიმწოდებელი") და, მეორე მხრივ სსიპ როინ მიროტაძის სახელობის ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მორძგვეთის საჯარო სკოლა მისამართი: ქ.ჭიათურა,სოფ. მორძგვეთი , წარმოდგენილი მისი დირექტორის მაია ბარჯაძის სახით (შემდგომში ,,შემსყიდველი"), საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" და ,,სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების" საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია „მიმწოდებლის" მიერ „შემსყიდველისათვის" სასწავლო დამხმარე საშუალებებისა და მოწყობილობების (DVD ფორმატის 3 (სამ) კომპიუტერულ დისკზე განთავსებული სასწავლო-შემეცნებითი დოკუმენტური ფილმების ციკლი - „ყვარლიდან მთაწმინდამდე გურამ შარაძის მოტივებზე" I ნაწილი, თორმეტი სერია, ელექტრონული ვერსია) (CPV–კოდი 30234300) მიწოდება, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.
1.2 შესყიდვის საგნის მთლიანი სახელშეკრულებო თანხა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით შეადგენს – 115 (ასთხუთმეტი) ლარს.

2. მიწოდების პირობები

2.1 შესყიდვის საგნის მიწოდება განხორციელდება „შემსყიდველის" მიერ წინასწარ განსაზღვრული რაოდენობისა და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მიხედვით.
2.2 „მიმწოდებელი" შესყიდვის საგანს „შემსყიდველს" მიაწვდის „შემსყიდველის" მისამართზე: ქ.ჭიათურა,სოფ.მორძგვეთი.
2.3 შესყიდვის საგნის მიწოდების პარალელურად, „მიმწოდებელი" ვალდებულია „შემსყიდველს" წარუდგინოს კანონმდებლობით დაშვებული სათანადო თანხლები დოკუმენტაცია.
2.4 „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" შესყიდვის საგანს მიაწვდის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

3. მიღება-ჩაბარების წესი

3.1 შესყიდვის საგანი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
3.2 ხელშეკრულების საგნის მიღებას ახორციელებს „შემსყიდველისა" და „მიმწოდებლის" მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც შესყიდვის საგნის მიღების შედეგების მიხედვით აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს.
3.3 საგნის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან რაიმე ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი".
3.4 შესყიდვის საგნის რაოდენობის ან წუნდების მიზეზის შესახებ „შემსყიდველი" დაუყოვნებლივ ატყობინებს „მიმწოდებელს" წერილობით.

4. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

4.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო აგარიშსწორებით, „მიმწოდებლის" ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით.
4.2 ანგარიშსწორებას „შემსყიდველი" განახორციელებს ფაქტობრივად მიღებული შესყიდვის საგნის რაოდენობის გათვალისწინებით მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ „მიმწოდებლის" მიერ „შემსყიდველისთვის" ზედნადების ელექტრონულად ატვირთვიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

5.1.1 შეამოწმოს მიწოდებული საგნის ხარისხის შესაბამისობა, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

5.1.2 მოითხოვოს მიწოდებული შესყიდვის საგნის შესახებ მხარეთა შორის დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესყიდვის საგნის მიწოდებისთანავე;

5.1.3 მოითხოვოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საგნის ხელშეკრულებით დაგენილი ოდენობითა და ვადაში მიღება;

5.1.4 „მიმწოდებლის“ მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება.

5.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

5.2.1 მიმწოდებლის წერილობითი ნებართვის გარეშე არ გაამრავლოს ან/და გაასაჯაროოს შესყიდვის საგანი;

5.2.2 ანგარიშსწორება განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით.

5.3 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

5.3.1 „შემსყიდველისგან“ მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

5.4 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

5.4.1 წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და ღირებულებით მიაწოდოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის საგანი;

5.4.2 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში „შემსყიდველს“ წარუდგინოს შესყიდვის საგანთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები;

5.4.3 საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს „შემსყიდველის“ მიერ გამოვლენილი შესყიდვის საგნის მდგომარეობასთან დაკავშირებული ყველა ნაკლის აღმოფხვრა;

5.4.4 მყისიერად აცნობოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ.

6. უფლებების გადაცემა

6.1 „მიმწიდებელს“ არა აქვს უფლება „შემსყიდველის“ წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

7.1 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისათვის“, გარდა „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. ამ ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 ხელშეკრულების დამდებ მხარეებს არა აქვთ უფლება ცალმხრივად შეცვალონ ხელშეკრულების პირობები.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ამ ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს „შემსყიდველი“ არაა ვალდებული წარუდგინოს „მიმწოდებელს“ რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

8.3 ამ ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. შეტყობინება

9.1 ნებისმიერი შეტყობინება, მხარის მიერ ხელშეკრულების შესაბამისად, გაეგზავნება მეორე მხარეს წერილობითი სახით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.
9.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შეუსრულებლობის საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე კი ასევე დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
10.2 თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანმხდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანით.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ამ ხელშეკრულებითა და დამტკიცებული ვადების დარღვევისათვის მხარეები პირგასამტეხლოს სახით გადაიხდიან სახელშეკრულებო ღირებულების 0.2 პროცენტს, ყოველ გადაცილებულ დღეზე.
11.2 პირგასამტეხლო თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

12.1 ხელშეკრულების მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო მეორე მხარე, უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედება.
12.2 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 2 (ორი) კვირით ადრე. ამასთან, აუცილებელია მიღებული გადაწყვეტილების საფუძვლისა და მისი ამოქმედების თარიღის მითითება.
12.3 წინამდებარე ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.4 მხარეთა შორის გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი წარმოადგენს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძველს.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
13.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპესაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
13.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

14. დავების გადაწყვეტის წესი

14.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

15.1 „შემსყიდველს“ ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.
15.2 ხელშეკრულების შესრულებაზე და მიღება-ჩაბარებაზე ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ როინ მიროტაძის სახელობის ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მორძგვეთის საჯარო სკოლის დირექტორი მაია ბარჯაძე.
15.3 ინსპექტირება განხორციელდება წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე.
15.4 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების, აგრეთვე მიღებული შესყიდვის საგნის ხარისხის რაოდენობის, შენახვის და მიწოდების ვადების კონტროლი.

16. დასკვნითი დებულებანი

16.1 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
16.2 წინამდებარე ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება, მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების შესახებ და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდება შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.
16.3 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბროს ჩათვლით.
16.4 წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 (მეოთხე) მუხლით გათვალისწინებული გადახდის ნაწილში ხელშეკრულების მოქმედების ვადაა მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;
16.5 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად და თითო-თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

17. მხარეთა რეკვიზიტები

„მიმწოდებელი“	„შემსყიდველი““
შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი“	**სსიპ როინ მიროტაძის სახელობის ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მორძგვეთის საჯარო სკოლა**
საიდენტიფიკაციო კოდი - 201951637	საიდენტიფიკაციო კოდი 215606431
მისამართი: ქ. თბილისი, ჩარგლის ქუჩა N 73	მისამართი: ქ.ჭიათურა,სოფ.მორძგვეთი
მომსახურე ბანკი - „თიბისი ბანკი“	მომსახურე ბანკი საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE 22	ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ნ GE23TB7261336080100001	ა/ნGE37BG0000000119198400
ხელმოწერა: /სულხან მელაძე/	ხელმოწერა: / მაია ბარჯაძე/ /